

დარიო ფო, ფრანკა რამე.  
გამოლვიძება

(მონოლოგი ერთი ქალისათვის)

(თარგმანი ვარლამ ნიკოლაძისა)

თარგმანი ვარლამ ნიკოლაძისა

სცენაზე ორკაციანი საწოლი დგას. საწოლის გვერდით პატარა კომოდზე ღამის ნაურა და მალვიძარა საათია. იქვე ძველი მოდელის გარდერობი, სამზარეულოს კარადა და მომცრო ძველებური ბუფეტი, რომლის წინა, ღია თაროზედაც ნაირნაირი ბოთლები ალაგია. ცოტა მოშორებით მაგიდა, გაზის ქურა, მაცივარი, სარეცხი მანქანა და პატარა ბავშვის საქანაო საწოლი მოსჩანს. იმ საწოლში ბავშვს სძინავს. ორადგილიან საწოლში ქალი და კაცი წვანან და სძინავთ. ქალი ძილში რაღაც საშინელებას ხედავს და ხმამაღლა ბოდავს

სამივე... სამივე ერთად მოიტა... კალა არა... რად უნდა... არ უნდა კალა... ერთი ბურღი უნდა დამორჩა... ხრახნია მოშვებული... მოჭერა უნდა... აი ახლა კი უნდა აქ კალა... ახლა ხერხი ჩართე... ბურღიც... ხერხი!... ნელა!... ვაიმე (კივის) ვაიმე ხელი!... ხელი ჩამყვა... თითები!... თითები აღარამაქვს!... ვაიმე!... სისხლი... სისხლი არ ჩერდება... უფროსი ძალიან გაჯავრდება... სულ გავაოხრე დამივსვარ-მოვსვარე სისხლით აქაურობა... ახლავე მოვწმინდავ... ვაიმე!... მტკივა!... თითები... თითები მომაჭრა... (უეცრად იღვიძებს და წამოხტება. ისევ სიზმრის გავლენის ქვეშაა) თითები!... აი... ვერავგრძნობ... (თითებზე დაიხედავს) აი... თითები... უჰ!... სიზმარი... დასწყევლოს ღმერთმა... ვითომფაბრიკაში რასაც ვმუშაობ, ის არ მეყოფა და ახლა სიზმარშიც იგივე... უჰ!... რომელი საათია?... (საათს დახედავს)... აუჰ! შვიდის ნახევარი ყოფილა (ფაცხა-ფუცხით წამოხტება ლოგინიდან დაგზადაგზა ფლოსტებსა და ხალათს იცვამს. მალვიძარა საათს დახედავს)... ამ უნამუსომაც რომ არდარეკა!?... გაფუჭდა თუ რა არის?!... ღმერთო, როგორ დამაგვიანდა... (ბავშვის საწოლიდან ბავშვი ამოყავს)... მოდი ჩემთან, მოდი, დედიკო... შენ გენაცვალე... უკვე გათენდა... ახალი დღე დაიწყო... (იქვე მდგარი მაგიდისაკენ მიდის)... გაიღვიძე, გაიღვიძე ჩემო სიცოცხლე... ახლა წავალთ... აბა, ჩემი ბიჭი... ეს რა არის?!... ფისები?... ისევ ჩაისველე შე უნამუსო?!... რა არი რა! სულ ახლახანს არგამოგიცვალე?!... რა გჭირს, რა... შეხედე ერთი რამდენი შენი ჩაფსმულები კიდია გასაშრობად... უჰ... ვეღარ აუდივარ ამდენ რეცხვას... უუუუჰ თანაც რამდენი ჩაგიფსია... რა ვქნა ახლა მე?... იმ შენბაგაში შვიდამდე რომ ვერ მივასწროთ მერე აღარც მიგვიღებენ და დავრჩებით ისე... (ბავშვს საფენებიდან ხსნის)... აბა ახლა პატარა ტაკუცუნები დავიბანოთ... (ონკანს მოუშვებს)... აი ცხელი წყალი... ეს რაღა ჯანდაბაა?... ცხელი წყალი არ მოდის... უჰჰჰ! მამაშენს წუხელ ისევ გამოურთავს თერმოსიფონი... აბა... უი, არა, არა, არ გამოურთავს... წამოვიდა... აი...

უიმე, დაგწვი დედიკო! ჯანდაბა ამ წყალს... მოიცა, მოიცა, აი ახლა გავანელე... აი ახლა კარგია... ახლა სახეც დავიბანოთ... აი ასე... ჩჩჩ! არა, დედიკო, არ იტირო, არ იტირო, თორემ მამას გაელვიძება... იძინოს კიდევნახევარი საათი... თორემ ახლა თუ გავალვიძებთ დაიწყებს ტარზანივით ყვირილს (ტარზანსაჯავრებს) ააააა! აი ასე... (უცებ მიხვდება რომ ძალიან ხმამაღლა მოუვიდა და ჩურჩულზე გადავა) ააააააჰაჰაააჰაჰაა. ფაბრიკაში რომ არ დავაგვიანოთ საჭიროა ჯერ ავტობუსს მიუსწროთ... მერემატარებელს... (ბავშვს მაგიდაზე აწვეს და ამშრალებს)... ესეც ასე... მორჩა... აბა ახლა ჩემთანერთად ივარჯიშე... აბა... აი ასე (ზურგზე წვება და ფეხებით თითქოს ველოსიპედს ატრიალებსოვარჯიშს აკეთებს) ... აბა შენც... შენც მიდი... უჰ, შენ გენაცვალოს დედა, როგორ გემრიელად იცინი... მოგწონს დედიკო რომ მაიმუნის პოზებს ღებულობს... შენც კაი მაიმუნი ხარ, ნუ გეშინია... ასე თუ არვიმაიმუნეთ ყოველ დილას, ფორმაში აღარ ვიქნებით და მამიკოს აღარ მოვეწონებით... აბა ახლა მოდი გავმშრალდეთ... (თაროდან კოლოფს იღებს) აბა, ეს პუდრიც მოვიყაროთ ტაკოებზე... აბა... (გაკვირვებისაგან გამომეტყველება ეცვლება)... ეს რა არის?... გახეხილი ყველი... კი მაგრამ ეს ხომ ტალკის კოლოფია... პუდრის... გახეხილი ყველი ვინ ჩაყარა შიგ?... რაუბედურებაა ეს?... მერედა როგორი ძვირია ეს ოხერი ყველი... ცეცხლის ფასი ადევს... სულდაიპნა... მოიცა, უნდა ავკრიფოთ და ისევ უკან ჩავაბრუნოთ... სულაც არ გაჭუჭყიანებულა, ტაკოები ხომ გქონდა სუფთა და წკრიალა... ახლა არ ჩაგბანე?... (სასწრაფოდ იწყებს ბავშვის ჩაცმას)... არიქა, ჩქარა გავისარჯოთ თორემ დავაგვიანდა... აბა ჰე... უჰ, შენ შემოგვევლოს დედა, რა გულიანისიცილი იცი, ბიჭო... გე-ნა-ცვა-ლოს-დე-დი-კო, ამ დილაადრიან რა კარგ ხასიათზე გამოგელვიდა... რომელი საათია? ვაიმე, რა დრო გასულა, დავაგვიანეთ... აბა შენ ახლა აქ ერთი წუთით წყნარადიყავი, დედიკო პირს მაინც დაიბანს... (ონკანისაკენ მიდის) აი ასე... ცხელი წყალი მოუშვათ... (საპონს იღებს) არა, ცივი წყალი ჯობია, სახის კანს უფრო უხდება... მერე ერთი გარგად გავისაპნოთსახე... აი ასე... ვაი! ეს რაღა ჯანდაბაა?! წყალი შეწყდა... წყალი აღარ მოდის... ახლა როგორ

მოვიშორო ეს საპონი?... ამის დედა ვატირე, ამ სახლში ცხოვრება არ შეიძლება... რომელ ოჯახს შეეფერება ასეთი მინგრეულ-მონგრეული სახლი?... არადა ამ უბანში სულ ასეთი დამპალისახლებია... სამასი ოჯახი მაინც ცხოვრობს... თითო ოჯახში საშუალოდ სამი კაცი ხომ მაინც იქნებადა ერთიდაიგივე დროს ყველა ამ ცხრას ადამიანს პირისა თუ სხვა რამის დაბანის გარდაუვალი აუცილებლობა აქვს... რა ვქნა ახლა, როგორ მოვიშორო ეს ქაფი... არადა რა მაგრა წვავს თვალებსეს დამპალი საპონი... (ხელების ცეცებით პირსახოცს მიაგნებს და სახიდან ქაფს იმშრალებს)... არაუშავს, სხვა დროს დავიბან... ვინ გამოიძიებს ახლა ამ დილას პირი დავიბანე თუ არა?... გამოიძიებთარ გამოიძიებენ, მაგრამ... (სარკეში თმებს ისწორებს)... მაგრამ ოფლის სუნი რომ ეცეთ არივარგებს... აი ეს დეოდორანტი შევისხათ... (დეოდორანტის შუშას იღებს)... ისე, დიდი კაიგამოგონება კია ეს დეოდორანტი... 24 საათს ძლებს... აი ასე... ცოტაც კიდევ... (ილღებში ისხამს)... ვაი... დამწვა!... რა არის ეს?!... დეოდორანტია?... რატომ? (შუშაზე წარწერას გულდასმით კითხულობს) ვერცხლისფერი საღებავი რკინის ნაკეთობათა შესაღებად... აუჰ! რა ვქენ

ეს?!...პულვერიზატორის ბალონი ყოფილა... ვერცხლისფერი ილღიები თუ გაუგია ვინმეს სადმე?...როგორ უნდა მოშორდეს ეს?... რა ვქნა... ფაბრიკაში რაიმე გამხსნელს ვიშოვი... აცეტონი ან რაიმეამდაგვარი... (სასწრაფოდ გადაიცვამს კაბას, ბავშვს საბანში გაახვევს, ილღიაში ამოიჩრის დაკარისაკენ გარბის) აბა ჩქარა, დედიკო, ჩქარა... შეხედე, შვიდს უკლია ოცი წუთი... ვაშა...ვასწრებთ... აბა დედა გენაცვალოს... ახლა დედიკოს ჩანთაც ავიღოთ... არ დაგვავიწყდეს... ესეცდედიკოს ჟაკეტი... (კარს აღებს)... მოიცა... გასაღები?... გასაღები სად არის?... ოოოოჰ! სად დავდეგასაღები?... ახლა გავგიჟდები... რა არის მაინც ყოველ დილით რომ სადღაც მეკარგება... მოკლედგადამიყოლებს ამ გასაღების ამბავი... (ჯიბებს იქექავს და აქეთ იქით თვალების ცეცებით გასაღებსეძებს)... აბა წყნარად!... დავმშვიდდეთ ახლა!... სად წავიდეთ ეს გასაღები კარგად დავფიქრდეთ...გუშინ საღამოს სახლში რომ მოვედით... ლუიჯი სახლში არ იყო... კარი მე გავაღე... რითი გავაღე?...რა თქმა უნდა ჩემი გასაღებით... მერე?... ჰო, მარჯვენა ილღიაში ბავშვი, მარცხენა ხელში ჩანთა დაგასაღები... მერე ჩანთა აქ დავდეთ (მაგიდაზე ანიშნებს თვალით) ბავშვი აკვანში... მერე ისეკვართან დავბრუნდით და პროვიზიის ჩანთები რომ დავტოვეთ შემოსასვლელში ისინი აქშემოვიტანეთ... ამ დროს გასაღები სულ ხელში მქონდა... ილღიაში რძის ბოთლი... ოთახშიშემოვბრუნდი... პროვიზიის ჩანთები ამ კუთხეში დავაწყვე... რძე მაცივარში შევდე... უჰ! გასაღებიცხომ არ მივაყოლე? (მაცივრის კარს აღებს და ათვალთვრებს) არა... აქ ნამდვილად არ არის... არცსაყინულეში არ არის... არც საკარაქეში... მაგრამ აქ არც რძე არა ჩანს... სად წავიღე?... შეხედე!...რა უნდა სარეცხის ფხვნილს მაცივარში?... გავგიჟდები ახლა... რამ გამომამტერა?!... რძე სარეცხისმანქანაში ხომ არ შევდე?... (სარეცხის მანქანაში შეიხედავს) არ არის!. სად ჯანდაბაში წავიღენეტავი?! გაზზე შევდგი? ფაფას ვხარშავდი?... არა, მაინც სად წავიღე ეს ოხერი გასაღები?... ქვაბშიხომ არ ჩავაგდებდი?... არა, კაცო, რძის ბოთლს რომ ვხსნიდი ხელები ხომ დაკავებული მქონდა დაგასაღები კბილებით დავიჭირე... ისე რატომ მაგიდაზე არ დავდე და პირში რატომ ჩავიდე არმესმის... მერე გაზი ჩავრთე... ასანთი დანა-ჩანგლის უჯრაში ვიპოვე... იქ რა უნდოდა არ ვიცი,მაგრამ... იმ უჯრაში ხომ არ ჩავდე გასაღები?... მოიცა... თუ მართლა იქ მაქვს ჩადებული მოსაკლავივარ აბა რა ვარ... უუჰ!.. არ ვყოფილვარ მოსაკლავი... არც აქ არაა... აბა სად ჯანდაბაშია?... ახლასევე ასანთს დავუბრუნდეთ... ბავშვის ფაფა აქ დავდგი... მერე ბავშვს შეუნთე... უუუუჰ... ბავშვს კიარა ფაფას შეუნთე... გაზს აუწიე... ფაფამ დუღილი დაიწყო... მე ამ დროს ბავშვს სახვევებისაგანვხსნიდი იმიტომ, რომ ჩაისველა... საფენებს უცვლიდი... ბავშვი მაგიდაზეა... ფაფა გაზზე დულს...უუუუჰ, ბავშვი მაგიდაზე კი არა ილღიაში მყავს და ჩასაბანად მიმყავს იქით... ამ ხელით ტაშტსვილებ... გასაღები ისევ პირში მაქვს... ტაშტი მომაქვს და აქ ვდებ... მერე ვიყვან ბავშვს აქედან...მაგრამ ბავშვი აქ არ არის... ბავშვი სად არის?... ბავშვი დამეკარგა... სად დავდე ბავშვი?...მაცივარში შევდე? არა კაცო... რატომ?... სარეცხ მანქანაში?... (რიგრიგობით იხედება მაცივარში,სარეცხ მანქანაში და ყველა კარადაში)... ბუფეტში?... ამ კარადაში?... შეხედე?!... რა ჯანდაბა უნდაბავშვს კარადაში?... ახლა ნამდვილად გავგიჟდები!... ვინ შედო ბავშვი კარადაში?!... მოკლედბავშვი ვიპოვეთ კარადაში იმიტომ რომ ატირებული იყო და ხმა იქიდან ისმოდა... კიდევ კარგიატირდა

თორემ ვინ იცის რამდენი ხანი იქნებოდა იქ?!... შენ შემოგვევლოს დედიკო...  
 კარადიდანტირილის ხმა რომ გავიგე ისე შემეშინდა, გული რომ არ წამსვლოდა ერთი  
 დიდი ჭიქა წყალი ერთიყლუპით დავლიე... აუჰ! გასაღები ხომ პირში მქონდა ამ დროს  
 და ვინ იცის იმ წყალთან ერთადგადამეყლაპა... არა, შეუძლებელია, იმხელა გასაღებს  
 რა გადამაყლაპებდა, ხომ გამეჩხირებოდაყელში... აბა სად ოხრობაში და ჭირში  
 წავიღე?... მოიცა... წყნარად... აბა დავმშვიდდეთ... ესე იგიტაშტი აქ დავდგი და ცხელი  
 წყლის მოსატანად იქით წავედი... წყალში ცოტა სოდა ჩავყარე... აი ესსოდა... რა? რა  
 არის ეს?... შაქარი... რა უნდა შაქარს სოდის ქილაში?... ღმერთო ჩემო!...მერამდენე  
 დღეა თურმე ბავშვს შაქრიან წყალში ვბან... ამიტომაა ბაგის მომვლელიები  
 რომმეუბნებიან ბავშვი გარეთ ვერ გაგვიყვანია მაშინვე ბუზები ესევიანო... საწყალი  
 ბიჭი რა დღეში  
 ჩამიგდია... მერე ლუიჯი?... ამ ბოლო დროს უგემური ყავა გამოგდისო რომ მეუბნება...  
 აბა რა იქნებაშაქრის მაგივრად თურმე სოდას ვყრი შიგ... თუ ჩემი მოხარშული ყავა არ  
 მოგწონს წადი დაყავახანაში დალიე მეთქი რომ ვეუბნები და ისიც მაშინვე რომ  
 გარბის... მიზეზი იშოვა და გაიქცევააბა რა... იმ ყავახანის კახა მოლარეს რომ არ  
 გაეარშიყოს ყოველდღე ხომ არ შეუძლია... მოიცაკაცო... ეს გასაღები სად მივათესე...  
 ოოოხ, რა უტვინო ვარ... აბა რა!... აბა რა!... გასაღები გარედანრომ შეურჭე კარს არ  
 გამომიძვრია და ისევ იქაა შერჭობილი!... აბა რა!... უი, მოიცა... ბავშვს რომვბანდი ამ  
 დროს ლუიჯი მოვიდა და გარედან კარს ვერ აღებდა რატომ?... იმიტომ რომ  
 აქეთამხრიდან ჩემი გასაღები იყო შერჭობილი... წვალობდა და იგინებოდა... მერე მე  
 ის ჩემი გასაღებირომ გამოვამრე, გაალო კარი და შემოვიდა... ჩემი გასაღები ისევ  
 ხელში მეჭირა... კარგი ახლაგასაღები რომ კარებში ჩამრჩა ამის გულისათვის ნუ  
 მომკლავ მეთქი, უთხარი... მოგცლია ერთიშენო, მაგიტომ კი არა ვარ გაბრაზებული,  
 მატარებელმა ერთი საათი დააგვიანა და იმიტომვიგინებო... მთელი ორი საათია  
 გზაში ვარო... ამ წვალების ფულს ვინ ოხერი გადამიხდის... ჩვენპატრონს მეტი საქმე  
 არა აქვს და დროის დანაკარგს აგინაზღაურებსო, წლის დასაწყისში  
 მოგიგდებსავტობუსის მთელი წლის აბონემენტს და მორჩა, ის კი არ იცის და არც  
 აინტერესებს ავტობუსიმხოლოდ ნახევარ გზამდე რომ მიდის და დანარჩენი ნახევარი  
 მატარებლით გვიხდებამგზავრობაო... მთელი ამ დროის განმავლობაში ის ჩემი  
 გასაღები ისევ ხელში მეჭირა... მერე... ჰო...მერე ახლა მაგათ უკვე პატრონებს კი არა  
 ერისკაცებს უძახიანო... და ეს ერისკაცები თავიანთ ერს,ანუ ჩვენ, უპატრონო  
 ძაღლებივით გვექცევიანო... დადგა დრო, რომ ამ მონობიდანგანთავისუფლება და  
 დამოუკიდებლობა მოვითხოვოთო... ჩემი ხელფასი, გზაში დაკარგული დროდა  
 ნერვები და სამუშაოზე დაკარგული ენერჯია იმ ჩემ ერისკაცს სულ ფეხებზე  
 ჰკიდიაო... მარტომას კი არა შენც ფეხებზე გკიდიაო... დღეში 8 საათი ის იქით  
 მამუშავენს ვირივით და დანარჩენიდრო შენ აქეთ მიწევ მონურ ექსპლოატაციასო... ის  
 რაღაცას მაინც მამლევს გასამრჯელოდ და შენკი რა ჩემ ფეხებს მამლევო... მუქთად  
 მტანჯავ და მაწვალეო... ამ დროს ბავშვის საჭმელიცგამზადდა და ჭმევა დავიწყე...  
 (აკვნისაკენ მიდის) ბავშვი ასე ავიყვანე... და რა?... გასაღები აკვანშიჩამივარდა?... ვაი!  
 ეს რა გიქნია ბიჭო?... ისევ ჩაკაკე?!... ეგრეც ვიცოდი!... კი მაგრამ ახლახანს  
 არგამოგიცვალე?... ჩაკაკვის დრო იყო ახლა?!... რამდენჯერ გითხარი, ბაგაში რომ

მიგიყვან შვიდს რომ ორი წუთი დააკლდება და მომვლელს რომ გადაგაბარებ მაშინ ჩაიკაკე მეთქი!... შეხედერომელი საათია?... დედა, რაღა ვქნა ახლა... (ბავშვს მაგიდაზე აწვენს და საფენებს უცვლის)დავაგვინეთ და მორჩა... ახლა აღარფერი ეშველება... ოხ! ღმერთო ჩემო ამ ერთი ციციქნა ტაკოდანამდენი კაკა როგორ გამოდის?... (ბავშვის ბანის დროს მძინარე ქმარს ელაპარაკება)... მუქთადგამუშავებ არა?... კი მაგრამ ოჯახის წმინდათაწმინდა პრინციპები სად არის?... ცოლ-ქმრობა...ყველა ვმუშაობთ... თანაც აუტანელ ტემპში... ხომ ხედავ ცხვირის მოსაფხანი დროც კი აღარგვრჩება... კი ბატონო, შენც მუშაობ და სხვა ათასობით შენნაირი კიდეც... მერე...

დადლილგასავათებულებს ლოგინში ცოლი გინდათ... თანაც მუქთად... იმას არავინ არ ფიქრობს ცოლსაც რომ სიქა აქვს გამძვრალი... (ბავშვს ამშრალებს)... მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებთ და სასიცოცხლოძალებს გინარჩუნებთ... რომ ხვალ და ზეგ ერისკაცებს უფრო მეტი სამსახური გაუწიოთ და კიდეფუფრო მეტად გააერისკაცოთ... ის ხომ მამაა და მარჩენალი... ისაა ახლა ღმერთი... ის, ბატონო,ეკონომიური აღორძინებისათვის იბრძვის... მერე?... მერე შიდაპარტიული დაჭიმულობა დადევალვაცია... პარტიების ჭიდაობა... არჩევნები... ინფლაცია... მერე ბატონო ისევ ეკონომიურიკრიზისი და ქამრების წელზე მაგრა მოჭერა და კბილების თაროებზე ჩამოლაგება... დოლარისკურსი... ბენზინის ფასი... გადმოდგება მერე ის შენი ერისკაცი და ხელებს გაშლის... ამ კრიზისს ვერუმკლავდებით გარედან დახმარება გვინდაო და დამეხმარეთო... ჰო... ამ მომენტში ლუიჯის გაეცინადა მითხრა: არ ვიცოდი თუ ასეთი ფემინისტი ცოლი მყავდა, როდინდელს აქეთია ქალთასაზოგადოებების კრებებზე დაიწყე სიარულიო... ნუ სულელობ მეთქი, მე უთხარი, ამ დამპალიცხოვრების კანონების გასაგებად არავითარ კრებებზე სიარული არ არის მეთქი საჭირო... ორივენივირებივით ვმუშაობთ... ცოლ-ქმრობისათვის დროც კი არა გვრჩება... დღეები გადის და ერთმანეთსვერა ვნახულობთ... ესაა ოჯახური ცხოვრება? ესაა საქმე მეთქი?... მარტო შენ პრობლემებზე რომფიქრობ, ერთხელ მაინც თუ მოგივა თავში, რომ მეც მაქვს პრობლემები და მეც მიჭირს რაღაცა...ერთხელ მაინც თუ გიკითხავს ჩემთვის დადლილი ხომ არა ხარ თქო?... დახმარება ხომ არ გინდათქო?... ყოველდღე სადილს ვინ აკეთებს?... ჭურჭელს ვინ რეცხავს?... სახლს ვინ ალაგებს?...ბაზარში ვინ დადის?... სარეცხს ვინ რეცხავს? ვინ აუთოვებს?... ხელფასიდან ხელფასამდე ფულიროგორ ვიმყოფინოთო ვინ იღულებს ტვინს?... მე, მე და ისევ მე... მაგრამ ამასობაში ისც ხომ უნდაითქვას, რომ მეც ვმუშაობ... ისევე, როგორც შენ, მეც ვმუშაობ... სამუშაოზე რომ ტანისამოსიგაგიჭუჭყიანდება ვინ გირეცხავს?... მე!... შენ რამდენჯერ გაგირეცხია ჩემი ტანისამოსი?... ამას ქვიაოჯახური ბედნიერება?... იმის დროც ვერ მიპოვნია, რომ დაგიჯდე და დაგელაპარაკო... კი ბატონოშენი პრობლემები იგივე ჩემი პრობლემებია, მაგრამ ჩემი პრობლემები რატომ არ არის შენი

პრობლემები ეს ვერ გამიგია მე... ასეა... შენებიც ჩემია და ჩემებიც ჩემია... ძალიან მინდადაგელაპარაკო, მაგრამ სამუშაოდან ბრუნდები და ჯერ ტელევიზორშია რაღაც ძალიან საინტერესოდა მერე მაშინვე იძინებ... კვირა დღეს ფეხბურთი... 22 ცალტვინა ერთ ბურთს დასდევს და... მათშორის ერთი სხვა ტიპის ცალტვინაცაა კიდეც... შავები აცვია და შიგადაშიგ სასტვენით უსტვენს... ისე,სუყველა ის ოცდაორი უსტვენს თავის

100 000 მაყურებლიანად, მაგრამ ის ერთი, შავფორმიანი, ისაა და ის, ის უსტვენს და უსტვენს... ოოო, ეს რომ უთხარი... ნეტავი არ მეთქვა... სახეზე სულმთლად წამოწითლდა და ძალიან გაბრაზდა... შენაო... შენ სპორტის რა გესმისო დამიყვირა... რაპასუხი იყო ახლა ეს?!... არ მაინტერესებს ბატონო ეს სპორტი!... აყვირდა და აყვირდა... მეცუყვირე... ასე ვყვიროდით და ვლანძღავდით ერთმანეთს კარგახანს... და ბოლოს საყვირალი რომგამოგველია, კი ბატონო, ახლა გასაგებია, ოჯახი თუ ამას ქვია მაშინ მე დიდი შეცდომა მაქვს დაშვებული მეთქი, უთხარი... ეს ჩემი შეცდომა ილღიაში ამოვიჩარე (ბავშვს იყვანს ხელში) დაკარებისაკენ წავედი... გასაღები ამ ხელში მეჭირა... კი... როგორ არა... ნამდვილად მეჭირა... ლუიჯიგამომეკიდა... საწყალი, სულ მთლად გადაფითრებული იყო... ნუ წახვალო, მეხვეწებოდა... თავიდანმანებე მეთქი, მე უთხარი... მაგრამ არაო, ასე ვერ გაგიშვებო... ჯერ დავილაპარაკოთ და მერე თუასე ძალიან გინდა წადიო... ხომ არსებობს ამ ქვეყანაზე რაღაც, აზრი... გონება... რასაც დიალექტიკაქვიაო... მერე... მერე ამ დიალექტიკისაკენ გამქაჩა (საწოლისაკენ მიდის) დამსვა და მართალი ხარომითხრა... მაგრამ დედაჩემიც ასე შენსავით მივლიდა და ერთხელაც არ დაუწუწუნიაო... შენც ხომდედა ხარო... თურმე ჩემგანაც იგივეს ელოდა რასაც დედამისისგან... დედა ყველაზე ტკბილი რამეა ამ ქვეყანაზეო... დიდხანს მელაპარაკა... ისე კარგად ლაპარაკობდა, ისე კარგად... სულ ცხარეცრემლებით მატირა... ის ლაპარაკობდა, მე ვტიროდი... მე ვტიროდი, ის ლაპარაკობდა... უჰ, რაკარგად ვიტირე წუხელ საღამოს... მერე... მოიცა კაცო, რა დროს ეს არის გასაღები სად ჯანდაბაშიამინც ვერ გავიგე... (უეცრად მოაფიქრდება)... ლუიჯის აქვს... აბა რა!... წუხელ გამომართვა დაახლა იმასა აქვს... პიჯაკის ჯიბეში უდევს ალბათ... პიჯაკი სადაა?... (პიჯაკს იპოვის და ჯიბეებშიედებს) აი! ხომ ვთქვი! აქაა!... ეს ლუიჯის გასაღები... ესეც ჩემი!... რომელი საათია?!... შვიდს უკლიათი!... კარგია! კიდევ გვქონია ათი წუთი... (ბავშვს აიყვანს)... აბა... ეს დედიკოს გასაღები... ეს დედიკოს ბიჭი... ეს დედიკოს ჟაკეტი... ეს დედიკოს ჩანთა... ესეც დედიკოს ავტობუსის აბონემენტი... აბონემენტი... (ჩანთაში იქექება)... ეს სადღა ჯანდაბაში წავიდა... მოიცა, ახლავე უნდა ამოვიღოთორემ იმ გატენილ ავტობუსში ვეღარ მოვახერხებ... აი... ვიპოვეთ... ვაშა... ესეც აბონემენტი... აი!... ეს რა არის?... ექვსი ნახვრეტი?... ექვსი წასვლა, ექვსი მოსვლა... კი მაგრამ ვინ იხმარა ეს ჩემიაბონემენტი?... რა დღეა დღეს?... ღმერთო ჩემო!... კვირა!... კვირაა დღეს!... კვირა!... შენც კიდევდიხარ მანდ ჩუმად და ხმას არ იღებ! რატომ არ მეუბნები რომ დღეს კვირაა?!... სულ გადავედიჭკუიდან და ესაა... კვირა დღეს სამსახურში მივდივარ!... ახლა გავგიჟდები!... გავგიჟდები, გავგიჟდები!... (ბავშვს საწოლში აწვენს და მძიმე-მძიმედ ცეკვას იწყებს) კვიიიირააა! კვიიიირააა!(წამღერებით) კვირა კვიიიიირაააა! კვირა, კვიიიირააა!... კვირას არა ვმუუუუუშაოოოობთ... კვირადასვენებაააა... კვირას დიდხანს ვიიიიძინებთ... რა კააარგია კვიიიირააა... აბა ახლა ჩემი ბიჭიმენც დააააიძიინებე... ახლა ყველამ დავიძინოთ და ყოველი დღე რომ კვირა იყოსვიოოოოოცნეეებოთ... კვირა იყოს უკუუუუუნითი უკუუუუნისააამდე... მორჩა! კვირის სხვა დღეები აღარარის! მთელი კვირა ერთი დღისაგან შესდგება... კვიიიირააა... ორშაბათი ჩამოახრჩვეს, სამშაბათიდახვრიტეს, პარასკევი დააპატიმრეს... ყველა დაიხოცა... მხოლოდ კვირა დღე გადარჩა... აბა,

ახლადავიძინოთ... ახლა სიზმარში ისევ ფაბრიკა რომ ვნახო თავს დავიხრჩობ და  
მორჩა... (ბავშვს თავისსაწოლში ჩააგორებს, თვითონაც ერთი ნახტომით მიუწვება  
გვერდზე და გადასაფარებელს თავზეწაიხურავს)

დასასრული